

## ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი (საქართველო) (C 710)

მსოფლიო მემკვიდრეობის ხიაზი შემანა  
1994

კრიტიკული

(iv) მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების ხიაზი შეტანის წელი (წლები)  
2010

საფრთხეები, რომელთა გამოც ძეგლები შეტანილ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების ხიაზი

შეაქცევადი ჩარევა, როგორც ბაგრატის ტაძრის სტრუქტურის ძირითადი რეკონსტრუქციის ნაწილი  
კონსერვაციის ხასურებული მდგრადარქობა ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების ხიაზი  
ამოსაღებად

მიღებულია გადაწყვეტილებაში - **34COM 7B.88**

იხ. გვერდი <http://whc.unesco.org/en/decisions/4196>

განსაზღვრულია გამასტორებელი ღონისძიებები

მიღებულია გადაწყვეტილებაში - **34COM 7B.88**

იხ. გვერდი <http://whc.unesco.org/en/decisions/4196>

კომიტეტის წინა გადაწყვეტილებები

იხ. გვერდი <http://whc.unesco.org/en/list/710/documents/>

საერთაშორისო დახმარება

არ არის

იუნესკოს ექსპრაბიუჯეტური ფონდები

არ არის

წინა მონიტორინგის მიხედვი

2003 წლის ნოემბერი, 2008 წლის ივნისი და 2010 წლის მარტი: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და  
ძეგლებისა და დირსექსანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) რეაგირების ერთობლივი მონიტორინგის  
მისიები

ძეგლზე მოქმედი ფაქტორები, განსაზღვრული წინა ანგარიშებში

ა) მონუმენტებზე ინტერიერის და ექსტერიერის საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა  
ზოგადად;

ბ) არასამარისი კოორდინაცია საქართველოს ეკლესიასა და ეროვნულ ხელისუფლებას შორის;

გ) კოორდინირებული მენეჯმენტის სისტემის დაფიციტი;

დ) ბაგრატის ტაძრის სტრუქტურის ძირითადი რეკონსტრუქცია.

### საიდუმლობრივი მასალა

იხ. გვერდი <http://whc.unesco.org/en/list/710>

კონსერვაციასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები

თავის 34-ე სესიაზე კომიტეტმა მოითხოვა სახელმწიფო მხარისაგან შეეჩერებინა ბაგრატის ტაძრის მონუმენტური, ქვით მოპირკეთების, რეინაბეტონის სარეკონსტრუქციო სამუშაო, რომელიც დაიწყო კომიტეტის მიერ დამტკიცების გარეშე; კომიტეტმა ასევე მიიღო გადაწყვეტილება შეეტანა ობიექტი მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების სიაში. კომიტეტის 35-ე სესიაზე აღინიშნა, რომ ტაძრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მონუმენტური სქემის მიხედვით შეჩერებულ იქნა.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგრადარქობა

რომელიც შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფ ძეგლთა ხიაზი.

WHD-12/36.COM/7A.Add, გვ. 64

კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ ბაგრატის ტაძრის კონსულტაციად დანიშნული საერთაშორისო კონსერვაციის არქიტექტორის მიხედვით ბაგრატის ტაძრის არასრული სტრუქტურული მდგრამარეობა არ იყო მდგრადი, რომ საგარაუდოდ შეუძლებელი იქნებოდა უკვე აშენებულის გადაკეთება, რადგან ჩარევა თითქმის შეუქცევადია, და რომ მსუბუქწონიანი სახურავის დამონტაჟება შესაძლებელი იქნებოდა არსებულ ბეტონის სვეტებზე. კომიტეტმა მოსთხოვა სახელმწიფო მხარეს რეაბილიტაციის სტრატეგიის შემუშვება, რომელიც შექმნიდა შენობის სარგებლობაში დაბრუნების შესაძლებლობას, ამავე დროს უკანასკნელ ხანს ჩატარებული სამუშაოს მაქსიმუმის მოცილების და ორიგინალური შენობის ფრაგმენტების გათვალისწინების შესაძლებლობას იქ, სადაც ისინი კედლის ნაწილს შეადგენს.

რეაბილიტაციის სტრატეგია წარდგენილი უნდა ყოფილიყო კომიტეტისათვის დასამტკიცებლად რეაბილიტაციის დეტალური პროექტის წარდგენამდე, და ტაძარზე ხებისმიერი შემდგომი სამუშაოს ჩატარებამდე.

როგორც ასევე მოთხოვნილი იქნა კომიტეტის მიერ მის 35-ე სესიაზე, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის და ძეგლებისა და დირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) რეაგირების მონიტორინგის მისია ჩატარდა ობიექტზე 2012წლის 22-28 აპრილს რეაბილიტაციის სტრატეგიისა და ზოგადად ძეგლის კონსერვაციის მდგრამარეობის განსახილვებიდა.

მოცემული ანგარიშის მომზადების დროს მიღებული გვქონდა მისიას ანგარიშის მხოლოდ სამუშაო ვერსია. მიუხედავად ამისა, ანგარიშიდან ხანს, რომ ტაძრის მონუმენტური ახალი მშენებლობა თანამდეროვე მასალებით მისიას ჩატარების დროს დიდი ხნის დაწყებული იყო. სახელმწიფო მხარემ წარმოადგინა კონსერვაციის მდგრამარეობის ანგარიში 2012 წლის 31 იანვარს. ანგარიშში არ იყო მოხსენიებული ის ფაქტი, რომ ახალი მშენებლობა კარგა ხნის დაწყებული იყო. ანგარიშში მოხსენებული იყო ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სტრატეგიის სამუშაო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ასევე გელათის მონასტრის საკონსერვაციო სამუშაოებზე და განსაკუთრებული უნივერსალური დირექტულების რეტროსპექტული განაცხადის სამუშაო ვერსიის შესახებ. ტაძრის ახალ მშენებლობასთან დაკავშირებული შემდგომი დოკუმენტები წარმოდგენილი იყო 2012 წლის 15 მაისს, მისიას ჩატარების შემდეგ. ეს დოკუმენტები მოიცავდა შესწორებულ სარეაბილიტაციო სტრატეგიას, ჩატარებული საინჟინრო სამუშაოს დეტალებს და ნაწილობრივ ანგარიშს არქეოლოგიურ კვლევებზე, მაგრამ არა ახალი მშენებლობის პროექტის დეტალურ გეგმას.

### ა) ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სტრატეგია

სახელმწიფო მხარემ სარეაბილიტაციო სტრატეგიის პირველი სამუშაო ვერსია წარმოადგინა 2012 წლის იანვარში. სამუშაო ვერსია შეიქმნა მრგვალი მაგიდის ირგვლივ განხილვის შემდეგ, რომელიც სახელმწიფო მხარის მოთხოვნით ჩატარდა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში 2011 წლის 9 ნოემბერს; მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ სახელმწიფო მხარის, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, ICOMOS -ისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და აღდგნის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICCROM) წარმომადგენლები. ამ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ სარეაბილიტაციო სტრატეგიის მიზანი იყო პროექტის ლოგიკური დასაბუთების შემუშავება ტაძრის სარგებლობაში დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

შეთანხმდნენ, რომ რადგან ბაგრატის ტაძრის კონსერვაციას რთული ისტორია აქვს, და რადგან უკანასკნელი ინტერვენციას აქვს გარკვეულწილად შეზღუდული კონკრეტული ალტერნატივები, რეაბილიტაციის სტრატეგიის ესაჭიროებოდა სათანადო ფაქტობრივი მასალა ნებისმიერი ახალი მშენებლობის იმ მიდგომის დასასაბუთებლად, რომელიც იყო მოწიდებული.

შეხვედრაზე განიხილულ იქნა შესაძლო ალტერნატივული მიდგომები მონუმენტური ბეტონის ვარიანტის მიმართ, რომელიც შესაძლოა დამყარებული იყოს შემდეგ კომბინაციაზე: ორიგინალური ტაძრის ქსოვილის/ტექსტურის იმ ნაწილების გამაგრება, რომელიც უკვე შესრულებულია (და შეთანხმების მიხედვით შეუქცევადია), ახალი მშენებლობა ოთხასი ან დაახლოებით ამდენი ქვის ბლოკით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში (რომლის დეტალური მონაცემები არსებობს), და თანამედროვე კონსტრუქციის ჩასძა დასავლეთ მხარეს, რომლის შესახებ ფაქტობრივი მონაცემები არ არსებობს. სახურავის საყრდენი იქნება მსუბუქი წონის მქონე ფოლადის სტრუქტურა; მთელი კონსტრუქცია დამყარება დეტალურ არქეოლოგიურ კვლევას და შესაძლებელს გახდის თავდაპირველი

ქსოვილის/ტექსტურის კონსერვაციას. ამ მიღგომას ექნება ის უპირატესობა, რომ შესაძლებელი იქნება ახალი კონსტრუქციის შეცვლა.

სახელმწიფო მხარის მიერ 2012 წლის იანვარში წარდგენილი სარეაბილიტაციო სტრატეგიის პირველ სამუშაო ვერსიაში მოცემული იყო მიღომა, დამყარებული ტაძრის აღმოსავლეთი და ცენტრალური ნაწილის აღდგენაზე, რომელთა შესახებ არსებობს ფაქტობრივი მონაცემები, და შენობის დამთავრება ახალი სტრუქტურებით დასავლეთ კიდეში, რომლის მონაცემები არ არსებობს, ან სადაც ორიგინალური ისტორიული მასალა შემორჩენილია მცირე რაოდენობით.

მსოფლიო მემკვიდრეობის ქანცხვაციის მდგრადი მომარტობა  
რომელიც შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეები მეოჯ ძეგლთა სიაში.  
**WHC-12/36 COM/TA Add 22 64**

W.H.C.-12/38.COM/7A.Add, 33. 64

სტრატეგიის სამუშაო ვერსია განხილულ იქნა ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) მიერ, რომელმაც ჩათვალა, რომ ზოგიერთ ადგილზე იყო შემდგომი ინფორმაციისა და ანალიზის საჭიროება ტაძრის ქსოვილზე/ტექსტურაზე დღემდე ჩატარებული ჩარევის მოცულობის უკეთ გასარკვევად, ასევე აქედან გამომდინარე ტექნიკური და საკონსერვაციო საკითხების გასააზრებლად. ზოგადად რომ ითქვას, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭომ (ICOMOS) ჩათვალა, რომ სტრატეგია უნდა ყოფილიყო უფრო მკაფიო იმის თაობაზე, თუ რის შეცვლა იქნებოდა შესაძლებელი და რის – არა, რა მოცულობის არსებული ახლად ჩატარებული სამუშაო იყო საჭირო სტრუქტურული თვალსაზრისით, რის მოდიფიცირება იქნებოდა შესაძლებელი, და როგორ უნდა ჩატარებულიყო გამაგრების ახალი სამუშაო. ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭომ (ICOMOS) ასევე ჩათვალა, რომ იყო გარკვეული გადაფარვა სტრატეგიასა და მის შედეგად შექმნილ პროექტს შორის, რაც დოკუმენტში გადაჭრას საჭიროებდა. ICOMOS-მა ხაზი გაუსვა, რომ პროექტის ახალი მშენებლობა დამტკიცებული არ ყოფილა - ასეთი დასკვნა იყო გაკეთებული სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში.

შეთანხმებულ იქნა, რომ რეგტიული მონიტორინგის მისიამ უნდა განიხილოს ეს კომენტარები სახელმწიფო მხარესთან ერთად, რომ გადამუშავებული სარეაბილიტაციო სტრატეგიის წარდგენა შესაძლებელი იყოს კომიტეტისათვის მის მომავალ სესიაზე.

თუმცა ეს მიზანი გადაფარა ტაძრის სამუშაოების გაგრძელებამ, რომელიც, როგორც ჩანს, დაიწყო კომიტეტის უკანასკნელი სესიის შემდეგ.

სარეაბილიტაციო სტრატეგიის მეორე სამუშაო ვერსია წარდგენილი იყო სახელმწიფო მხარის მიერ 2012 წლის 15 მაისს. ოუმცა, რადგან ამ დროისათვის სარეკონსტრუქციო სამუშაო დიდი ხნის დაწყებული იყო, სტრატეგიის, როგორც რეკონსტრუქციის პროექტისათვის ინფორმაციული დოკუმენტის დანიშნულება, აღარ არის აქტუალური. დოკუმენტი გახდა უკვე ჩატარებული სამუშაოს დასაბუთება. მასში სახელმწიფო მხარე აკეთებს დასკვნას, რომ ჩატარებული მშენებლობის ძეგლის განსაკუთრებულ უნივერსალურ; დირექტულებაზე ზეგავლენა ძალზე უმნიშვნელოა.

ბ) ბაგრატის ტაძარზე განხორციელებული ხტაბილიზაციის სამუშაოები  
მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მხარის ანგარიშში მითითებულია, რომ  
სტაბილიზაციის ზოგიერთი გადაუდებელი სამუშაო ჩატარდა დასავლეთის კედელზე იმ  
სტრუქტურების შემდგომი აუცილებელი გამყარების მიზნით, რომლებიც შეიძლება საჭირო  
გახდეს რეაბილიტაციის სტრატეგიისათვის (ეს განმარტებულია მსოფლიო მემკვიდრეობის  
ცენტრისათვის მიწერილ 2011 წლის 27 სექტემბრის წერილში, რომელსაც მსოფლიო  
მემკვიდრეობის ცენტრმა 2001 წლის 5 ოქტომბერს უპასუხა დადგებითი პასუხით), მისის  
დაკირვების შედეგად ძალიან განხვავებული მდგრადი გამოიკვეთა.

გამოიყენეთ საჭირო საკუთრივი და საკუთრივი გარემოების მიზანის მისაღწევად, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში მოპირკეთებული ქვით გამაგრებული ცემენტის გამოყენებით, ასევე თანამდებობის სისტემების გამოყენებით დასავლეთ ნაწილში, ძირითადად საერთაშორისო არქიტექტორ-კონსერვაციონისტის მიერ დახაზულ გეგმასთან კომბინირებული თავდაპირველი მონუმენტური პროექტის ხაზების გასწვრივ. მონოლითური

ბეტონის გუმბათი ნაწილობრიც უკვე აწეულია. სახელმწიფო მხარემ დაუდასტურა მისიას, რომ ტაძრის საზეიმო გახსნა იგეგმება 2012 წლის სექტემბრისათვის.

დოკუმენტაციის ყურადღებით განხილვისა და კალევის საფუძველზე ამ ნაწილების აღდგენისა და თავდაპირველი ქსოვილის/ტექსტურის კონსერვაციის იდეა უარყოფილი იქნა.

### **ვ) სტრუქტურული დამატებები:**

მისიას მიეწოდა ინფორმაცია დღემდე ჩატარებული ძირითადი სტრუქტურული ინტერვენციების შესახებ და ეს დადასტურდა სახელმწიფო მხარისაგან მიღებულ შემდგომ ინფორმაციაში. ეს ინტერვენციებია:

- კონსოლიდაციის სამუშაოების დამთავრება მზიდი კედლების ინტერიერისა და ექსტერიერის საძირკვლებზე;
- ოთხი ცენტრალური ბეტონის სვეტის აშენება თავდაპირველი სვეტების საფუძველზე;
- მიწისქვეშა რკინა-ბეტონის სარტყელის და რანდკოჭების დამონტაჟება, რომელიც ოთხ სვეტს ექსტერიერის კედლების მიწისქვეშა საძირკველთან აკავშირებს; ექსტერიერის აღნიშებული კედლები, ქართველი ინჟინრების მიხედვით, არქეოლოგიური დონის ქვემოთ მდებარეობს;
- ეპლესიის კედლების ინტერიერის ზედაპირის მოპირკეთება ქვით არმირებულ საფუძველზე, რაც სრულიად შეუქცევადი პროცესია.

მხოლოდ მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგრადარეობა  
რომელიც შეტანილია მხოლოდ მემკვიდრეობის ხაფრთხეში მეომავრება სიაში.

WHC-12/36.COM/7A.Add, გვ. 65

მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნა, რომ ამ სამუშაოების ჩატარება აუცილებელი იყო ეკლესიის სტაბილურობისათვის მიწისძვრის ზონაში, რეალურად ამ რადიკალური ინტერვენციებით შესაძლებელი გახდა რეკონსტრუქციის პროექტის პირველი ფაზის განხორციელება, შემოთავაზებული ბეტონის გუმბათისა და ახალი სახურავისათვის სათანადო სტაბილურობის მისანიჭებლად.

### **დ) რეკონსტრუქცია:**

მისის დაკვირვებით ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები:

- დასავლეოს ნაწილი:

ეკლესიის ამ ბოლოში, სადაც არ არსებობს სათანადო ორიგინალური მასალა და ფაქტობრივი მონაცემები სრული რეკონსტრუქციისათვის, ახალი ქვისა და ლითონის სახურავის საყრდენად რკინაბეტონის ძელები დამონტაჟდა.

- ჩრდილო-დასავლეოს კუთხე:

მომზადდა ლითონის კონსტრუქცია (რკინის ჩანართებით თავდაპირველ ქსოვილში/ტექსტურაში), საყრდენად ახალი კიბისა და ლიფტისათვის, რომლებიც სტუმრებს მუზეუმის პირველი სართულისკენ გაუძლვება.

- ცენტრალური ნაწილი:

დამონტაჟდა რკინაბეტონის გუმბათი, რომელიც თეორიულად ეყრდნობა ოთხ ცენტრალურ ბეტონის სვეტს და ბეტონის თაღებს ბეტონის სვეტებზე დამატებით; თუმცა ბეტონის სვეტების მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ყველა ახალი (ინტერიერის და ექსტერიერის) ზედაპირი ქვით არის მოპირკეთებული. ერთადერთი ქვით მოუპირკეთებული ზედაპირი არის იმ ადგილზე, სადაც დაგეგმილია მუზეუმის მოწყობა. ქსოვილის/ტექსტურის ინტერიერში არსებული ნაპრალებში შედუღაბებულია ცემენტით.

- ჩრდილოეთი და სამხრეთი ძელავები:

ქის რელიეფებით შემკული ცნობილი ისტორიული პორტიკების თავზე წამომართულია რკინაბეტონის კონსტრუქციები, რკინის საყრდენებით მეტალის სახურავისათვის.

### - აღმოსავლეთის კიდე:

ეს ნაწილი მთავრდება 1950-იანი წლების სარეკონსტრუქციო სამუშაოს გაგრძელებით. ის იხურება ისეთივე საშუალებით, როგორც შენობის დანარჩენი ნაწილი. მისის დაკარგვების მიხედვით მიმდინარე სამუშაო არ იყო დაფუძნებული არსებული ქსოვილის/ტექსტურის კონსერვაციაზე; 2010 წელს ჩატარებული მისის განმავლობაში ქსოვილის/ტექსტურის გარკვეული ნაწილი აღიარებული იყო, როგორც უკიდურესად არამყარ მდგომარეობაში მყოფი; არ იყო მხედველობაში მიღებული არქეოლოგიური ფენები; მიმდინარე სამუშაო შეუქცევადია.

უფრო მეტიც, ამ ინტერვენციების მიერ მთლიანად იგნორირებული იყო უახლესი არქეოლოგიური კვლევებით გამოაშკარავებული მონაცემები. აღნიშნული მონაცემები განსაზღვრავდა ძეგლზე შემოჩენილი დაახლოებით 400 ორიგინალური სამშენებლო ქვის ზუსტ ადგილმდებარეობას. ამ ქვებიდან მაგალითების სახით მხოლოდ ორი ან სამია იმეორებს მათ ისტორიულ ადგილმდებარეობას.

მისის თვალსაზრისით, ტაძრის აუცილებელი სტაბილიზაციის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა სხვა, ნაკლებად რადიკალური საშუალებებით და უნდა წარდგენილიყო, როგორც განსახილველი სარეაბილიტაციო სტრატეგიის ნაწილი

სარეაბილიტაციო სტრატეგიის მეორე სამუშაო ვერსია წარდგენილი იყო სახელმწიფო მხარის მიერ დღესდღეობით მიმდინარე რეკონსტრუქციის გასამართლებლად; მასში ნათქვამია, რომ რეკონსტრუქცია გაითვალისწინებს და გადაარჩენს ყოველგვარ ისტორიულ მასალას, რომელიც არსებობდა ძეგლის სიაში შეტანის დროს. მიუხედავად ამისა, მისიამ აღნიშნა, რომ ოთხასი ჩამოცვენილი ისტორიული ქვიდან რესტავრაციის დროს გამოყენებული იქნა მხოლოდ ორი. ორიგინალური ქსოვილის/ტექსტურის მოპირკეთება თანამედროვე ქვით რკინაბეტონის საფუძველზე შეუქცევადად დააზიანებს ორიგინალური/ისტორიული სტრუქტურის ავთენტურობას, და ასევე მოსპობს ყოველგვარ ისტორიულ მტკიცებულებას წარსული ინტერვენციებისა, რომლებიც ეკლესიის ისტორიის ნაწილს წარმოადგენს.

ახალი რკინა-ბეტონის გუმბათისათვის საყრდენის შესაქმნელად გაითხარა ეკლესიის ცენტრალური ნაწილი პარამეტრული კედლებისათვის დამატებითი ქვე-საყრდენების დასამონტაჟებლად, და დიდი რკინაბეტონის ძელების მიერ განადგურებულ იქნა არქეოლოგიური ფენების დიდი ნაწილი, მათ შორის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი აღმოჩენები სამარხების სახით ეკლესიის შიგნით, როგორც იუწყებოდა მედია.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძგლების კონსერვაციის მდგრადარეობა  
რომელიც შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მეორე ძგლობა სიაში.  
WHC-12/36.COM/7A.Add, გვ. 66

მისით აზრით, ზემოაღნიშნული ჩატარებული ახალი მშენებლობის ზოგადი მიღებომა არ ისახავდა მიზნად ეკლესიის ისეთი სახით რეაბილიტაციას, რომელიც გაითვალისწინებდა მის ქსოვილს/ტექსტურას, არქეოლოგიურ ფენებსა და ზოგადად მის განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებას, როგორც ეს კომიტეტის მიერ იყო გათვალისწინებული. სარეაბილიტაციო სტრატეგიის მეორე სამუშაო ვერსიაში განცხადებულია, რომ სიაში შეტანის დროს მონუმენტი არ იყო მთლიანად ნაგრევებად ქცეულ მდგომარეობაში, რომ მისი ნაწილები იყო რეკონსტრუირებული. ეს მიღებულ იქნა იქნა ძეგლის სიაში შეტანის დროს, მაგრამ ეს არ არის გამართლება მონუმენტური რესტავრაციისათვის, რომლის არც სტრატეგია და არც რესტავრაციის დეტალები არ იყო წინასწარ დამტკიცებული კომიტეტის მიერ.

ICOMOS-ი ჩატარებს რეაბილიტაციის სტრატეგიის აღნიშნული მეორე სამუშაო ვერსიის დეტალურ შეფასებას და წარუდგენს სახელმწიფო მხარეს.

### **უ) ტოპოლოგიური და არქეოლოგიური კვლევა ბაზრატის ტაძრის ირგვლივ**

სახელმწიფო მხარის ანგარიშში დეტალურად არის მოწოდებული ინფორმაცია ჩატარებული სამუშაოს შესახებ, რომლის მიზანია ცოდნის გადრმავება ტაძრის ირგვლივ უფრო ფართო არქეოლოგიური ტერიტორიის შესახებ. ტერიტორიაზე 2011 წლის დასაწყისში ჩატარებული ტოპოგრაფიული და კადასტრული კვლევების გარდა 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა მთელი ბაგრატის ტაძრის, როგორც ძეგლის ნაწილის, არაინტერგენციული არქეოლოგიური კვლევა. ამ კვლევის შედეგად საკვლევ არეში გამოვლინდა არქეოლოგიური ფენების მაღალი სიმკვრივე, ფორტიფიკაციებისა და სამეფო რეზიდენციების არსებობის დამატებიცებელი ფაქტების ჩათვლით.

მისიამ ჩათვალა, რომ აღნიშნულის შედეგად მოპოვებული მასალა არის უაღრესად საგულისხმო ძეგლის გარემოს მნიშვნელობის გააზრების კუთხით. ამგვარი მასალა შესაძლოა საფუძვლად დაედოს ძეგლისა და მისი გარემოს გენერალურ გეგმას ტერიტორიის ისტორიული განვითარების შესწავლის მიზნით.

### **ვ) გელათის მონასტრის საკონსერვაციო სამუშაოები**

სახელმწიფო მხარის ანგარიშის მიხედვით საკონსერვაციო სამუშაოები გრძელდებოდა გელათის მონასტრის გენერალური გეგმის ფარგლებში. მისიამ შეაფასა მიმდინარე სამუშაოები, რომლებიც 2011 წელს ეპისკოპოს გაბრიელის სასახლის რეაბილიტაციას მოიცავდა.

თანამშრომლობის ხელშეკრულებით სახელმწიფო სამსახურო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტსა (NACHPG) და ლუგანოს უნივერსიტეტს შორის, შევიცარიის ეროვნული მეცნიერების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 2010-2011 წლების განმავლობაში ქვისა და კედლის მხარვრობის საკონსერვაციო პროგრამაში ჩაერთვნენ საერთაშორისო კონსერვაციის სპეციალისტები გელათის მონასტრის ეკლესიების სისტემური კონსერვაციისა და ინტერიერის კედლის მხარვრობისა და მოზაიკის კომპლექსური პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- გელათის მთავარი ეკლესიის წმ. მარინეს სამლოცველოს კედლის ფრესკების მდგომარეობის შეფასება;
- გელათის წმ. გიორგის ეკლესიის ქვის მდგომარეობის შეფასება და რისკის რეკაზე დატანა;
- გელათის წმ. გიორგის ეკლესიის შესასვლელი კარის ირგვლივი მოჩუქურობების ქვის ჩარჩოს კონსერვაცია;

სააგენტოს დახმარებით დაგეგმილია გაგრძელდეს ამ საერთაშორისო სპეციალისტების და მათი სტუდენტების ჩართვა მომავალ ქვისა და კედლის მხარვრობის საკონსერვაციო სამუშაოებში.

მისიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო მხარის მნიშვნელოვანი წინსვლა ძეგლის ამ კომპონენტის მოთხოვნილი გამასტორებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

ჩამოყალიბდა მკაფიო ინსტიტუციური საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გელათის მონასტრის კონსერვაციის პრიორიტეტულ საკითხებს განხილვას მთავრობის მიერ სათანადო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ხორციელდება გელათის მონასტრის ეკლესიების სტრუქტურული კონსერვაციისა და რესტავრაციის კომპლექსური პროგრამა.

შსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგრადი მომსახურება  
რომელიც შეტანილია შსოფლიო მემკვიდრეობის ხაფრთხებში მყოფ ძეგლთა სიაში.  
WHC-12/36.COM/7A.Add, გვ. 67

2010 წელს წარმოდგენილი გელათის მონასტრის გენერალური გეგმა იძლევა სათანადო გადაწყვეტილებებს იმ პრობლემებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სამონასტრო თემის და სამონასტრო კომპლექსის სტუმრების საჭიროებებთან. მისია ადასტურებს, რომ მონასტრის ტერიტორიაზე ფუნქციები სათანადოდაა ორგანიზებული, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ძეგლი ცოცხალ მონუმენტს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღინიშნა 2010 წლის მისის მიერ, არსებობს ასევე პირობა, რომლის თანახმად ბერების მზარდი რაოდენობის შემთხვევაში ისინი დაფუძნდებიან მონასტრის ტერიტორიის გარეთ, მის მახლობლად. გენერალური გეგმით მონასტრის სტუმრებისათვის განკუთვნილი ნაგებობები ბერების ცხოვრებისაგან გამიჯნულია; სტუმრებისათვის განკუთვნილი ახალი ნაგებობების აშენება დაგევმილია მონასტრის ტერიტორიის გარეთ, სამონასტრო კომპლექსის შიგნით კი სტუმრებისათვის დაგევმილი იქნება ორგანიზებული მარშრუტი.

ზ) განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების რეტროსკექტული განაცხადი სახელმწიფო მხარის მიერ წარდგენილი განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების რეტროსკექტული განაცხადის სამუშაო ვერსია ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია საკონსულტაციო ორგანოების მიერ.

## დასტურება

შსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი და საკონსულტაციო ორგანოები აღნიშნავენ, რომ მისის დაკვირვებებით მიუხედავად მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და სახელმწიფო მხარეს შორის 2011 წლის ნოემბერში გაკეთებული შეთანხმებისა, რომ შენობის სტაბილიზაციისათვის ჩატარდებოდა მხოლოდ გადაუდებელი სამუშაო, რეალურად მიმდინარეობს ტაძრის სრულმასშტაბიანი რეკონსტრუქცია, ძირითადად კომიტეტის 34-ე სესიაზე უარყოფილი მონუმენტური ბეტონითა და ქვის მოსაპირკეთებელი სამუშაოებით; მსუბუქი თანამედროვე კონსტრუქციები გამოყენებულია დასავლეთის კიდეში.

მისიამ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად სანიმუშო საკვლევი სამუშაოს ჩატარებისა ძეგლზე და მის შემოგარენში, არ ყოფილა არავითარი მცდელობა არქეოლოგიური რეკონსტრუქციის ჩატარებისა ორიგინალური/ისტორიული ქვების გამოყენებით მათი არსებობის ადგილზე; არ ყოფილა მცდელობა არც ორიგინალური ქსოვილის/ტექსტურის კონსერვაციისა, რომლის ნაწილი არამყარ მდგომარეობაშია; და ასევე, როგორც ჩანს, არ ყოფილა არც არქეოლოგიური ფენების დაცვის მცდელობა იქ, სადაც რეინაბეტონის ძელები დამონტაჟდა მიწის ქვეშ, და არც ახლახანს აღმოჩენილი სამარხებისა.

შსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი და საკონსულტაციო ორგანოები იმედგაცრუებით აღნიშნავენ, რომ მიუხედავად აშკარად პოზიტიური ხასიათის შეხვედრებისა 2011 წელს სახელმწიფო მხარეს, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და საკონსულტაციო ორგანოებს შორის, ასევე იმ ურთიერთგაგების საფუძველზე, რომ რეკონსტრუქციის სტრატეგია უნდა შემუშავებულიყო და წარდგენილიყო კომიტეტში დასამტკიცებლად რაიმე სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებამდე, რომ ეს სტრატეგია უნდა აცნობიერებდეს არსებული ქსოვილის/ტექსტურის საგულდაგულო ანალიზის აუცილებლობას, და რომ ზოგიერთი ბოლოდროინდელი ჩარევა უნდა გაუქმდეს ორიგინალური/ისტორიული ქვების მაქსიმალურად დემონსტრირების მიზნით - ეს სტრატეგიული მიღვომა აშკარად იგნორირებული იქნა. ასევე არ იქნა მხედველობაში მიღებული კომიტეტის 35-ე სესიის მკაფიო მოთხოვნა, რომ მას უნდა დაემტკიცებინა აღნიშნული სტრატეგია ნებისმიერი სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე

შსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი და საკონსულტაციო ორგანოები ასევე აღნიშნავენ, რომ მონუმენტური პროექტის თითქმის სრულად განხორციელების შემდეგ, 2012 წლის მაისში

სახელმწიფო მხარემ წარადგინა სარეაბილიტაციო სტრატეგიის მეორე სამუშაო ვერსია, რომელშიც არის მცდელობა წარმოებული სამუშაოს გამართლებისა რაიმე სახის განმარტების გარეშე იმის თაობაზე, თუ რატომ არ შემუშავდა გადაწყვეტილება, რომელიც მხედველობაში მიიღებდა ორიგინალური ქსოვილის/ტექსტურის შენარჩუნებას და იქნებოდა შექცევადი.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის და საკონსულტაციო ორგანოების რეკომენდაციით კომიტეტი გამოხატავს დრმა სინანულს იმასთან დაკავშირებით, რომ არ იქნა გამოყენებული ხელსაყრელი შესაძლებლობა, რომელიც იძლეოდა საშუალებას ჩატარებულიყო შენობის უდიდესი ნაწილის ფრთხილი, შექცევადი რეკონსტრუქცია უწინ არსებული მკაფიოდ დასაბუთებული მონაცემების საფუძველზე, და წარმოებულიყო სენსიტიური ახალი სამუშაო იმ ადგილებში, რომლისთვისაც დასაბუთებული მონაცემები არ არსებობს; ყველაფერი ეს იძლეოდა საშუალებას თავიდან დაწყებულიყო ტაძრით, როგორც თანამედროვე საზოგადოების მაღალი დირებულების მქონე ნაწილით, სარგებლობა.

ისინი თვლიან, რომ 2012 წლის სექტემბერში ახლად რეკონსტრუირებული ბაგრატის ტაძრის გახსნის ცერემონიის ჩატარების გადაწყვეტილებამ გადაძლია სახელმწიფო მხარის ვალდებულება კომიტეტის გადაწყვეტილებების შესრულების თაობაზე, რაც შემდგომში ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების სიიდან ამოღების საშუალებას იძლეოდა; გახსნის ცერემონიის ჩატარების გადაწყვეტილებამ ასევე გადაძლია ძეგლის განსაკუთრებული უნივერსალური დირებულების შენარჩუნების პასუხისმგებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მხარემ საგულისხმო ნაბიჯი გადადგა წინ გელათის მონასტერთან დაკავშირებული გამასწორებელი დონისძიებების განხორციელებაში, ისინი თვლიან, რომ ბაგრატის ტაძარზე განხორციელებულ სამუშაოებში არ იქნა გათვალისწინებული კომიტეტის მიერ შეთანხმებული გამასწორებელი დონისძიებები, და რომ ეს სამუშაოები ხელს არ უწყობენ ძეგლის კონსერვაციის სასურველი მდგომარეობის მიღწევას. ახალმა სამუშაომ იმ ზომამდე მოსპო თრიგინალური ქვის წყობა, რომ ტაძრის ავთენტურობა შეუქცევადად განადგურდა. შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატის ტაძარი უკვე აღარ შეესაბამება იმ კრიტერიუმს, რომლის მიხედვით ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში იქნა შეტანილი.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგრადარეობა  
რომელიც შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფ ძეგლთა სიაში.  
WHC-12/36.COM/7A.Add, გვ. 68

### **გადაწყვეტილების პროგექტი: 36 COM 7A.30**

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი,

1. WHC-12/36.COM/7A.Add, დოკუმენტის განხილვის შემდეგ,

2. მის 35-ე სესიაზე (იუნგებო, 2011) მიღებული 35 COM 7A.29, გადაწყვეტილების გათვალისწინებით,

3. მიესალმება წინსკლას რეაბილიტაციის პროგრამისა და გელათის მონასტრის კონსერვაციის გენერალური გეგმის განხორციელებაში, ასევე წინსკლას მკაფიო ინსტიტუციური საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბებაში საქართველოს კულტურული ძეგლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მონაწილე დაინტერესებული მხარეების ჩათვლით;

4. განსაკუთრებული გულისტკიფილით აღნიშნავს, რომ ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქცია უკვე დიდი ხმის დაწყებულია ძირითადად კომიტეტის მიერ მის 34-ე სესიაზე უარყოფილი გეგმების მიხედვით, რაც გულისხმობების მონუმენტურ რეკონსტრუქციას რეინაბილონით, მათ შორის მონოლითური ბეტონის გუმბათს და ქვის მოსაპირკეთებლ სამუშაოებს, რომელიც ფარავს ორიგინალური ქვის წყობის უმეტეს ნაწილს;

5. შემდგომ აღნიშნავს, რომ მიუხედავად შენობის სანიმუშო ტოპოლოგიური და არქიტენტური კვლევებისა, არ ყოფილა მცდელობა გადარჩენილი ჩამოცვენილი ქვების უმრავლესობის თავიდან გამოყენებისა, მიუხედავად იმისა, რომ 400-მდე ქვის ზესტი ადგილმდებარეობა განსაზღვრული იყო;
6. ღრმა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ არ ჩატარდა ორიგინალური ქვის წყობის კონსერვაცია ახალი სამუშაოს დაწყებამდე და რომ ასეთი სამუშაოს ჩატარება ახლა შეუძლებელი იქნება უკანასკნელი პერიოდის ინტერვენციების შეუქცევადი ხასიათის გამო;
7. გამოთქვამს უდიდეს შეშვრულებას იმის გამო, რომ მიუხედავად ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სტრატეგიის სამუშაო ვერსიის შემუშავებისა, როგორც ეს კომიტეტის მიერ იყო მოთხოვნილი, საკონსულტაციო ორგანოების შემდგომი კომენტარებისა და საერთაშორისო არქიტექტორ-კონსერვაციონისტის დანიშვნისა, არ იქნა გამოყენებული სტრატეგიული მიღვომა, რომელსაც ოპტიმალურად უნდა შეენარჩუნებინა ორიგინალური ქვის წყობა და ახალი ინტერვენციები გაეხადა შექცევადი და ადგილად გასაგები; და თვლის, რომ ბაგრატის ტაძრის სარგელობაში დაბრუნების შესაძლებლობა, იმავდროულად მისი განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების ძეგლის სტატუსის შენარჩუნების შესაძლებლობით, დაკარგ ულია.
8. ასევე თვლის, რომ ბაგრატის ტაძარი იმ ზომამდებარებული და მისი ავთენტურობა შეუქცევადად არის დაკარგ ული და ის აღარ ამართლებს იმ კრიტერიუმს, რომლის საფუძველზე ძეგლი სიაში იქნა შეტანილი;
9. ღრმა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ კომიტეტის 34-ე და 35-ე სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებების საშელებით ვერ მოხდა ბაგრატის ტაძრის დაცვა;
10. მოითხოვს სახელმწიფო მხარისაგან **2013 წლის 1 თებერვლამდე** წარადგინოს მოთხოვნა დებლის საზღვრების ძირითადი მოდიფიკაციის შესახებ, რაც საშეალებას მისცემს გელათის მონასტერს დამოუკიდებლად დააკმაყოფილოს ეს კრიტერიუმი;
11. კვლავ მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს მიიღოს რჩევები მხოლოდ მემკვიდრეობის ცენტრისა და საკონსულტაციო ორგანოებისაგან საზღვრების მოდიფიკაციის შემუშავებისას.
12. იღებს გადაწყვეტილებას დატოვოს ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი (საქართველო) მხოლოდ მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფ ძეგლთა სიაში.

მხოლოდ მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგრადარეობა  
რომელიც შეტანილია მხოლოდ მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფ ძეგლთა სიაში.  
WHC-12/36.COM/7A.Add, გვ. 69